

თინათინ ბაქრაძე

Budapest Metropolitan University, Hungary

კავკასიის მედიის სკოლა

„საზღვარგარეთ ცხოვრებისა და სწავლის შანსი ხელიდან არავინ უნდა გაუშვას. უცხო კულტურა, ახალი მეგობრები, ლექტორები და განსხვავებული სასწავლო გარემო ძალიან დიდ როლს თამაშობს ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. პირველივე კურსიდან მოუთმენლად ველოდი "ერაზმუსის" პროგრამის გამოცხადებას და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა ბუდაპეშტის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში მიმიღეს. ეს სასწავლებელი უცხოელ სტუდენტთა სიმრავლით გამოირჩევა და მორგებულია თანამედროვე სასწავლო მეთოდებს. უკვე ვიცი, რომ აქ გატარებული ერთი სემესტრი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იქნება.“